სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

LEPL SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

№ 07-01-03/190 15 ოქტომბერი 2010 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბ-ნ გიორგი კლდიაშვილს

(მის: ა. მაჭავარიანის ქ. №4. ბ. №1.)

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილის (1.10.10. 782/04-01) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით 2010 წლის 28 ივლისს დაარსდა. ფონდი არის სსიპ - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) უფლებამონაცვლე.

გარდამავალ პერიოდში, დროებით ფუნქციონირებს სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) ვებ-გვერდი: www.rustaveli.org.ge, პარალელურად კი დაწყებულია ახალ ვებ-გვერდზე მუშაობა. ამ პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ საქმიანი წინადადებებისა და რეკომენდაციების გაზიარება, რომლებიც მიმართული იქნება ფონდის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ.

ამასთან, მზად ვართ კანონით დადგენილი წესების ფარგლებში მოგაწოდოთ საჯარო ინფორმაცია. ფონდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურისტი ჟანა ქოიავა.

პატივისცემით,

ფონდის გენერალური დირექტორი

სულხან სისაური

ი. უზნაძის ქ. 68, თბილისი, 0102, საქართველო, ტელ.: (995 32) 95 74 16, ფაქსი: (995 32) 95 62 05

68, D.Uznadze st., 0102, Tbilisi, Georgia, Tel.: (995 32) 95 74 16; Fax: (995 32) 95 62 05